

ჟან-პოლ კოსტა

ფრანგი იურისტი ჟან-პოლ კოსტა 2007 წლის 19 იანვრიდან იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე – 2011 წლის 3 ნოემბერამდე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში პირველად მოსამართლედ აირჩიეს 1998 წლის 1 ნოემბერს, ხოლო 2009 წელს კი პრეზიდენტად, დამატებითი, სამი წლის ვადით.

ჟან-პოლ კოსტა დაიბადა 1941 წლის 3 ნოემბერს ტუნისის (რომელიც საფრანგეთის კოლონიას წარმოადგენდა) დედაქალაქ ტუნისში. განათლება მიიღო ქალაქის ლიცეუმ „კარნოში“, თუმცა 1957 წელს, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მისმა ოჯახმა ქალაქი დატოვა. ჟან-პოლ კოსტამ სწავლა განაგრძო პარიზში, ჰენრი IV-ის პრესტიჟულ ლიცეუმში, რის შემდეგაც ჩაირიცხა პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში (Institut d'Études Politiques de Paris), რომელიც უფრო მეტად ცნობილია როგორც Sciences Po, მიიღო ბაკალავრის ხარისხი 1961 წელს, მაგისტრის ხარისხი სამართალში – 1962 წელს და უმაღლესი განათლების დიპლომი საჯარო სამართალში – 1964 წელს. 1964 წლიდან 1966 წლამდე სწავლობდა სახელმწიფო მმართველობის სკოლაში (École nationale d'administration).

1966 წლის ივნისში ჟან-პოლ კოსტა დაინიშნა „Auditeur“-ის თანამდებობაზე სახელმწიფო საბჭოში, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის ეროვნული ხელისუფლების ორგანოს. აღნიშნული ორგანო იურიდიულ კონსულტაციას უწევს აღმასრულებელ ხელისუფლებას და მოქმედებს როგორც ბოლო ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლო. 1968-1973 წლებში ჟან-პოლ კოსტა კითხულობდა ლექციებს ინსტიტუტში Sciences Po, ხოლო 1981-1984 წლებში იყო ეროვნული განათლების მინისტრის ალენ სავარის აპარატის ხელმძღვანელი. 1985-1986 წლებში ხელმძღვანელობდა საფრანგეთის დელეგაციას, რომელიც ლა-მანშის გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებით აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ხოლო 1985-1989 წლებში ასწავლიდა საჯარო ადმინისტრირების საერთაშორისო ინსტიტუტში. შემდეგ ის გამწესდა ორლენის (1989-1998 წლები) და სორბონის (1992-1998 წლები) უნივერსიტეტების მოწვეულ პროფესორად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტად მუშაობის დასრულების შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტს.

1998 წლის 1 ნოემბერს ჟან-პოლ კოსტა აირჩიეს მოსამართლედ (საფრანგეთის მხრივ) ახლა უკვე მუდმივმოქმედ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2000 წლის 1 მაისს მან სექციის თავმჯდომარის, ხოლო 2001 წლის 1 ნოემბერს სასამართლოს პრეზიდენტის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. 2007 წლის 19 იანვარს მან ჩაანაცვლა შვეიცარიელი ლუციუს ვილდჰაბერი სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობაზე. 2009 წელს ჟან-პოლ კოსტა კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად. მისი უფლებამოსილების ვადა ამოიწურა 2011 წლის 3 ნოემბერს. მის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა სერ ნიკოლას ბრატცამ.

ჟან-პოლ კოსტა გარდაიცვალა დორდონში, 2023 წლის 27 აპრილს, 81 წლის ასაკში.